# THE POPULATION OF KVEMO KARCHOKHI VALLEY IN THE 60S OF THE 19TH CENTURY

## ქვემო ქარჩოხის ხეობის მოსახლეობა XIX საუკუნის 60-იან წლებში

**DAVID AKHLOURI**

Doctor of History, Associate Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia,
+995568990779, datoakhlouri@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

**Abstract:** The paper talks about the population of Kvemo Karchokhi valley in the 60s of the nineteenth century. The geographical area of the valley and the importance of the roads and paths there in the political and economic life of Ksni Saeristavo and the country are reviewed.

The notebooks of Samtavisi Sakdr of the X-XV centuries were studied, where we find the first information about the villages of the Karchokhi valley, we localize the villages that no longer exist today. Attention is paid to the "records" of the Georgian historian and geographer Vakhushti Batonishvili and the German traveler Johann (Anton) Guldenstedt, a participant of the expedition of the Imperial Academy of St. Petersburg, who visited Karchokh directly and left us important information about the population living here.

Important sources about the population of Karchokhi valley are the statistical descriptions of the Saeristavo of Ksni in the second half of the 18th century, the register of the seat of Samtavisi of the same period, the description of the Kingdom of Kartl-Kakheti. References of the royal census of Ioane Batonishvili of 1803, Russian chamber censuses, which are properly studied and compared with the chamber census of the 60s of the nineteenth century, which is given special attention due to the research topic. An important news is that the archival material of the given period is published for the first time.

According to the census of 1860, we can conclude that estates and serfs in the Kvemo Karchokhi valley belonged to the lords: Mamuka Jambakur Orbeliani's Kneina Ketevan himself, Eristavas: Davit

Luarsab son, Alexander, Mikheil, Nikoloz Levan son, Revaz Luarsab son, Alexander Shanshe son, Elizbar Pavles son.

The population of Karchokhi valley was historically Georgian. Since the 18th century, Ossetians who emigrated from the North Caucasus have settled in several villages (Lomisi, Okhiri, Nazpoeti), who left these villages in the second half of the 20th century. Some of them moved to the bar of Kartli and Kakheti, some returned to the North Caucasus.

The past is compared with the present and with the demographic situation of the pre-occupation period in Kvemo Karchokhi valley. The severe consequences of the August 2008 war in this area are highlighted. Today, the indigenous population of the Georgian valley has been expelled from their land and water and continues to live mainly in the refugee settlements of the villages of Mtskheti municipality: Frezeti and Tsreovani.

**Key words:** Kvemo Karchokhi valley; statistical descriptions; funds; chamber lists; Komli; nobles of Ksni; Sabatono estate; migration; nasoflars; occ.

**დავით ახლოური**

ისტორიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძისქ., №53,1400, საქართველო,
+995568990779, datoakhlouri@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

**აბსტრაქტი.** ნაშრომში საუბარია ქვემო ქარჩოხის ხეობის მოსახლეობაზე მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებში. მიმოხილულია ხეობის გეოგრაფიული არეალი და იქ არსებული გზა-ბილიკების მნიშვნელობა როგორც ქსნის საერისთავოს, ისე ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

შესწავლილია X-XV საუკუნეების სამთავისის საყდრის გამოსავლის დავთრები, სადაც ვხვდებით პირველ ცნობებს ზოგადად ქარჩოხის ხეობის სოფლების შესახებ, ვახდენთ დღეისათვის უკვე არარსებული სოფლების ლოკალიზებას. ყურადღება ეთმობა ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილისა და გერმანელი მოგზაურის, პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის ექსპედიციის მონაწილის იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტის „ჩანაწერებს“, რომლებიც უშუალოდ ეწვივნენ ქარჩოხს და აქ მცხოვრები მოსახლეობის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვეს.

ქარჩოხის ხეობის მოსახლეობის შესახებ მნიშვნელოვანი წყაროა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობები, ამავე პერიოდის სამთავისის საყდრის დავთარი, ქართლ-კახეთის სამეფოს აღწერა, 1803 წლის იოანე ბატონიშვილის საუფლისწულო აღწერის ცნობები, რუსული კამერალური აღწერები, რომლებიც სათანადოთაა შესწავლილი და შედარებულია მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლების კამერალურ აღწერასთან, რომელსაც საკვლევი თემიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. მნიშვნელოვანი სიახლე ისიც, რომ მოცემული პერიოდის საარქივო მასალა ქვეყნდება პირველად.

1860 წლის აღწერით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვემო ქარჩოხის ხეობაში მამულები და ყმები ეკუთვნოდათ მებატონეებს: თავად მამუკა ჯამბაკურ ორბელიანის კნეინა

ქეთევანს, ერისთავებს: დავით და რევაზ ლუარსაბის ძეებს, ალექსანდრე, მიხეილ, ნიკოლოზ ლევანის ძეებს, ალექსანდრე შანშეს ძეს, ელიზბარ პავლეს ძეს.

როგორც ქვემო, ისე ზემო ქარჩოხის ხეობის მოსახლეობა ისტორიულად ქართული იყო. XVIII საუკუნიდან რამდენიმე სოფელში (ლომისი, ოხირი, ძაბოეთი) დამკვიდრდნენ ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლებული ოსები, რომლებმაც XX საუკუნის მეორე ნახევარში დატოვეს ეს სოფლები. მათი ნაწილი ქართლისა და კახეთის ბარში გადასახლდა, ნაწილი ჩრდილო კავკასიაში დაბრუნდა.

წარსული შედარებულია თანამედროვეობასთან და ქვემო ქარჩოხის ხეობაში ოკუპაციამდელ პერიოდის დემოგრაფიულ ვითარებასთან. გამოკვეთილია ის მძიმე შედეგები, რაც ამ მხარეში 2008 წლის აგვისტოს ომს მოჰყვა. ძირძველი ქართული ხეობის მოსახლეობა დღეს საკუთარი მიწა-წყლიდან გამოდევნილია და ძირითადად მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლების: ფრეზეთისა და წეროვანის ლტოლვილთა დასახლებებში აგრძელებს ცხოვრებას.

**საკვანძო სიტყვები:** ქვემო ქარჩოხის ხეობა; სტატისტიკური აღწერილობები; ფონდები; კამერალური სიები; კომლი; ქსნის ერისთავები; საბატონო მამული; მიგრაცია; ნასოფლარები; ოკუპაცია.

## შესავალი

ქარჩოხი თავისი გეოგრაფიული არეალითა და მდიდარი ისტორიული წარსულით ერთ-ერთი გამორჩეული ხეობაა საქართველოში, მდებარეობს ქსნის სათავეებთან, ლომისის წმინდა გიორგის სალოცავის სამხრეთით.

„კსნის-ხევისა და მამულისა მისისა" აღწერისას ცნობილი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „მდინარე კსნისა ოძის ზეით, ბაზალეთისა და ალევის მთის დასავლით დის და გამოსდის ქნოღოს ჟამურის საშუალს კავკასს, ქარჩოხამდინ დის აღმოსავლეთად, ქარჩოხს ქუეით სამხრით გაივლის მუხრანს და მიერთვის მტკუარს..." ცხრაზმის ხევის ჩრდილოეთით კი მიგვითითებს ქარჩოხის ციხეზე: „ამ ხევს ზევით, ჩრდილოთკენ, არც ციხე ქარჩოხისა, კსნისა პირსა ზედა, ლომისიდამ ჩამოსულს კლდესა ზედა. უდის სამხრით კსანი და აღმოსავლით ხევი, ლომისის მთის გამომდინარე, და აღვალს აქედამ გზა ლომისის ეკლესიისა თანა და შთავალს მთიულეთს. ხოლო ქარჩოხის დასავლით არს კსანსა ზედა ჟამური (ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 359-360). როგორც ვახუშტის აღწერიდანაც ჩანს, ქარჩოხს მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა ეკავა. ლომის-ოხირის გადმოსასვლელით არაგვის ხეობიდან გადმოდიოდა გზა-ბილიკი და ქარჩოხის ხეობაში რამდენიმე განშტოებად იყოფოდა. ერთი განშტოება მდინარე ქსანს მოჰყვებოდა სამხრეთით და ახალგორში „საქალაქო გზას უერთდებოდა, მეორე განშტოება ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა და ჟამურზე გავლით დვალეთში გადადიოდა. ხოლო მესამე განშტოება დასავლეთით მიდიოდა და ძაბუეთ-ხოზუეთზე გავლით ჭურთის, რეხულის, ისროლის ხევს ჰკვეთდა და მეჯვრისხევში ჩადიოდა. იყო სხვა

გადმოსასვლელები და გზა-ბილიკებიც. კერძოდ, ცხრაძმის ე.წ. უკანუბნის, დადიანეთის, ცხავატის, საფერშეთის, ალევის და სხვა, რომელიც არაგვის ხეობასა და ქსნის ხეობას აკავშირებდა“ (გვრიტიშვილი, 1955: 63-64; ახლოური, 2022 ა: 98).

ქვემო ქარჩოხის ტერიტორიაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული ძეგლი მდებარეობს, რომელთაგანაც აღსანიშნავია სოფელ ბალაანში (ადრინდელი ახალდაბა) აღმართული ოთხსართულიანი კოშკი, რომელიც გადახურულია ორქანობიანი სახურავით.

პირველ სართულზე კარის პირდაპირ გამართული ყოფილა ბუხარი, თონე, საყურადღებოა დიდი ზომის ქვევრებიც, რომელსაც, სოფლის უხუცესთა გადმოცემით, სხვადასხვა დანიშნულებისთვის იყენებდნენ.

პირველი სამი სართულის კედლებში სათოფეებია განლაგებული. პ. ზაქარაიას ვარაუდით, მეოთხე სართულის მოპირდაპირე კედლებში ორ-ორი მცირე ზომის ხვრელი შეიძლებოდა გამოეყენებინათ როგორც სინათლის წყაროდ, ისე დაზვერვისთვის. ცნობილი მეცნიერი სტილისტიკურ მონაცემებზე დაკვირვებით მიიჩნევს, რომ ბალაანის კოშკი აგებული უნდა იყოს XVI საუკუნის ბოლოს ან XVII საუკუნის დასაწყისში, რიგითი ოსტატის მიერ პატარა სოფლის მფლობელისათვის, სავარაუდოდ, აზნაურისთვის (ზაქარაია, 2002: 431). ძეგლი ცნობილია ასევე „ცეცხლისჯვრობის" კოშკის სახელწოდებით, სოფლის მოსახლეობა აქ ცეცხლიჯვრობას აღნიშნავდა. ამავე სახელწოდების კოშკი მთიულეთშიცაა, ნასოფლარ ზამთრეულთაში. იგი რამდენიმე თემის სალოცავი იყო და სათვალთვალო კოშკის მისიასაც ასრულებდა, ისევე როგორც ბალაანის კოშკი, რომელიც მტრის შემოსვლისას ცეცხლის მეშვეობით ნიშანს აძლევდა ხეობის სხვა კოშკებს: ძაბუეთს, კვერიათს, პავლიანს... აქედან მომდინარედ მიიჩნევენ სახელწოდება - ცეცხლიჯვარსაც...

კოშკის ჩრდილოეთით მიდგმული ყოფილა შენობა, რომლისგანაც მცირე ფრაგმენტია შემორჩენილი, ასევე შემორჩენილია კოშკის მცირე ზომის გალავნის კვალი (ახლოური, 2022 ბ: 24-25).

სოფელში რამდენიმე ქრისტიანული სალოცავია, მათ შორის წმინდა გიორგის ეკლესია, რომელზეც დაშენებულია სამრეკლო. ტაძარს შემოვლებული აქვს გალავანი, იქვე სოფლის სასაფლაოა, გალავნის შიგნით კი - მრავალწლოვანი ბზის ხეები. ს. მაკალათიას მიხედვით, ეს იყო ქარჩოხის ხეობის მოქმედი ეკლესია, სადაც აღესრულებოდა ჯვრისწერა, ნათლობა და სხვა საეკლესიო დღესასწაულები (მაკალათია, 1968: 108).

ქსნის მარჯვენა მხარეს ნასოფლარ კვერიათში მდებარეობს ზურგიანი კოშკი, რომელსაც IX-X საუკუნეებით ათარიღებენ. იგი ფაქტიურად აკონტროლებდა მთელ ხეობას. „ზურგიანი კოშკი სტრატეგიული თვალსაზრისით ძალზე მარჯვე ადგილას დგას, აქედან მოჩანს ხეობისაკენ მომავალი ყველა გზა. ძეგლი დიდი ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები. კოშკის მხოლოდ დასავლეთი კედელი, ჩრდილოეთის ზურგის და სამხრეთი კედლის მცირე ნაწილია შემორჩენილი. დასავლეთის კედელზე იკითხება ხუთი სართულის დონე, აქედან პირველი სართული მთლიანად ამოვსებულია მიწით. ჩანს სართულშუა გადახურვის ხის ძელების კოჭის ბუდეები. კოშკის გარშემო ნასახლარებია"

(შიდა ქართლი, 2008: 255). კოშკზე ყურადღებას ამახვილებს ს. მაკალათიაც: სოფელ ბალაანის პირდაპირ, „ქსნის გაღმა, მაღალ მთაზე, დგას საგუშაგო კოშკი „კვერიათის ციხე" (ადგილის სახელია). კოშკი თავმორღვეულია და საძირკველიც გამოცლილი აქვს" (მაკალათია, 1968: 108).

ხუთი სართულის დონეზეა შემორჩენილი სოფელ ძაბოეთის ზურგიანი კოშკი, რომელიც ნაგებია რიყის ქვით. პირველი სართული ამოვსებულია მიწით და ქვით. შესასვლელი მეორე სართულის აღმოსავლეთის კედელშია მოთავსებული. მესამე და მეოთხე სართულებზე სარკმელები ერთ ღერძზეა განლაგებული. მეხუთე სართული ნაწილობრივ ჩამონგრეულია (შიდა ქართლი, 2008: 28-29).

თავის ჩანაწერებში ქარჩოხის ხეობას ახსენებს გერმანელი მოგზაური იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტი, რომელიც XVIII საუკუნის 70-იან წლებში ესტუმრა ქსნის საერისთავოს. იგი 1772 წლის 1 ოქტომბერს ლარგვისიდან ლომისის გადავლით რუსეთში გაემგზავრა, რამაც საშუალება მისცა მოენახულებინა და ქსნის ხეობის სოფლების ჩამონათვალში აღენუსხა ქარჩოხის ხეობის სოფლები (ახლოური, 2007: 36). ლომისის მხარის სოფლებზე საუბრისას იგი ასახელებს ქვემო ქარჩოხის ხეობის სოფლებს: ბალახა(ნთკა)რი (ბალხამიანთკარი - დ.ა.); ძაბოეთი; ხოზოეთი; კვერნეთი (კვერიათი - დ.ა.); ჭორჭოხი; მიდელა(ა)ნთკარი; ქენქა(ა)ნთკარი; ბეგუანთკარი (ბეჟუანთკარი, ნასოფლარ გოლგოლეთის ერთ-ერთი უბანი - დ. ა.) (გიულდენშტედტი, 1962: 63).

## მეთოდები

საკითხის კვლევისას ვიყენებთ თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში აპრობირებულ მეთოდებს. ვახდენთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის შესახებ არსებული წყაროებისა თუ სხვა ისტორიული მასალის კრიტიკულ გააზრებას, რომლის დროსაც გამოყენებულია შინაარსობრივი ანალიზისა და დაკვირვება-შედარების მეთოდები. ანალიზის მეთოდი საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ ქვემო ქარჩოხის ხეობაში საუკუნეების მანძილზე არსებული სოფლები, რომელთა ნაწილი უკვე ნასოფლარებადაა ქცეული. დაკვირვება-შედარების მეთოდი გვეხმარება მოვახდინოთ წყაროებში მოხსენიებული სოფლების ლოკალიზება და განვსაზღვროთ იქ არსებული ისტორიული რეალობა... ნაშრომის შეჯამება ხდება კვლევის სისტემური ანალიზით.

## შედეგები

ნაშრომში მოძიებულია ქვემო ქარჩოხის ხეობის სოფლების შესახებ არსებული ისტორიული ცნობები. მიმოხილულია ხუროთმოძღვრული ძეგლები, გარესამყაროსთან დამაკავშირებელი გზები. გაანალიზებულია ქართლის მთიანეთის ამ უძველეს ხეობაში საუკუნეების მანძილზე არსებული სოციალური ურთიერთობები, გლეხთა კატეგორიები, ეკონომიკური ყოფა, დემოგრაფიული, რელიგიური და კულტურული მდგომარეობა. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა XIX საუკუნის 60-იან წლებში არსებულ

ვითარებას. ჩვენს მიერ პირველად ქვეყნდება 1860 წლის კამერალური აღწერის მონაცემები, რაც ნათელ სურათს გვიქმნის იმ დროინდელი ქვემო ქარჩოხის ხეობის შესახებ. შედეგად, ნაშრომში, თავისი ისტორიით, წარმოჩენილია თითქმის ყველა ის სოფელი, რომელიც ქვემო ქარჩოხის ხეობაში ოდესღაც არსებობდა და თავის როლს ასრულებდა საქართველოს ცხოვრებაში.

**დისკუსია (მსჯელობა)**

ქვემო ქარჩოხი ისტორიულად მოიცავდა სოფლებს: ჭორჭოხი, ახალდაბა (ბალაანი), მიდელაანთკარი, ქენქაანთკარი, გოლგოლეთი, ხოზოეთი, ძაბოეთი... ხეობის ადმინისტრაციული ცენტრი ისტორიული სოფელი ახალდაბა იყო, რომელსაც XIX საუკუნიდან, აქ დამკვიდრებული ბალაშვილების გვარის დომინაციიდან გამომდინარე ბალაანი ეწოდა.

ქარჩოხის ხეობის სოფლები ისტორიულ წყაროებში X საუკუნიდან გვხვდება. როგორც ს. მაკალათია წერს, ქარჩოხის ხეობის სოფლებიდან „ჭორჭოხი, ყაზოთი (ხოზოეთი - დ. ა.) და ქარჩუხი დასახელებულია სამთავნელის სარგოს X საუკუნის წიგნში“ (მაკალათია, 1968: 106). სამთავნელის სარგოს X საუკუნისა და XV საუკუნის სამწყსოს დრამისა და შესავლის გარიგების წიგნებში აღნიშნული სოფლების გარდა მოხსენიებულია ახალდაბა (ბალაანი), ანრაწმინდული (ანდრიაწმინდული), გოგოეთი (გოლგოლეთი), ძაბლეთი (ძაბოეთი), კვერიეთი (კვერიათი) (კაკაბაძე, 1929: 5-15; ჯავახიშვილი, 1974: 10)... სერგი მაკალათიას ქსნის ხეობაში სტუმრობის დროს ამ სოფლების დიდი ნაწილი ნასოფლარი იყო ან სახელშეცვლილი, რის გამოც ღვაწლმოსილ მკვლევარს შეიძლება მხედველობიდან გამორჩენოდა.

XVIII საუკუნის ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობის (1783 წელი) მიხედვით, ქვემო ქარჩოხის ხეობაში 7 სოფელი შედიოდა: ჭორჭოხი, ახალდაბა (ახლანდელი ბალაანი), თინიკაანთკარი, მიდელაანთკარი, ხოზოეთი, ქენქაანთკარი, გოლგოლეთი (თაყაიშვილი, 2022: 650-654). საერისთავოს აღწერაში ნაჩვენები არ არის ძაბოეთი, სადაც იმ დროისთვის უკვე სახლობდნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებული ოსები. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქსნის ოსთა საკომლო მამულების ნუსხაში ძაბოეთი ჭურთის ხეობის სოფლების რიგში უნდა იყოს მოაზრებული, სადაც სოფლის სახელწოდებები დაკონკრეტებული არაა (ჯავახიშვილი, 1974: 188).

1794-1799 წლების ქართლ-კახეთის აღწერის დროს ქარჩოხის ხეობა მეფის ძეს იოანეს ეკუთვნოდა: „ქ. ქარჩოხი ხეობა არს. სოფელი 7, მოსახლენი

ცალკეა მითითებული ძაბოეთი: „ქ. ძაბოეთი ოსის სოფელი, მოსახლენი“ (ბაგრატიონი იოანე, 1986: 37).

იოანე ბატონიშვილის 1803 წლის საუფლისწულო აღწერის შეჯამებით ცნობებში კვლავ ცალკეა გამოკვეთილი ხეობის ოსებითა და ქართველებით დასახლებული სოფლები. წყარო გარკვეულ უზუსტობებსაც შეიცავს: ქარჩოხში ვხვდებით ისეთ სოფლებს, რომლებიც

საკმაოდ იყვნენ მისგან დაშორებული, მაგალითად: იკოთი, მდებარეობს ახალგორის სიახლოვეს, კორინთა, ცხავატი, საძეგური, წირქოლი, ქოვქეთი (Акты, 1868: 82).

1804 წელს, პირველი რუსული კამერალური აღწერის მიხედვით:

ჭორჭოხში 30 კომლი ცხოვრობდა: ბალხამიშვილები, საბიაშვილები, ქაწაშვილები, ბუთხუზები, ფოცხვერაშვილები, ფოციტაშვილები, შერმაზანაშვილები, რომლებიც აღწერაში შეცდომით ზაზანაშვილებად არიან მიწერილნი. სულ 120 მამრობითი და 73 მდედრობითი სქესის (193 სული); ახალდაბაში (ბალაანი) 3 კომლია, თინიკაშვილები (შემდეგში მოურავის მამის პატივსაცემად ბალაშვილებად დაეწერნენ), მარტიაშვილები და ბალხამიშვილები, სულ 28 მამაკაცი და 18 ქალი (46 სული). მიდელაანთკარში - 8 კომლი, მიდელაშვილები, 38 მამაკაცი და 30 ქალი (68 სული). ხოზოეთში - 9 კომლი, გამხიტაშვილები, გაროზაშვილები, ოგბაძეები, ქენქაძეები, 36 მამაკაცი და 21 ქალი (57 სული). ქენქაანთკარში - 10 ოჯახი, ქენქაძეები, 43 მამრობითი და 34 მდედრობითი სქესის (77 სული). გოლგოლეთში - 10 კომლი, ქენქაძეები, 32 მამაკაცი და 27 ქალი (59 სული). ძაბოეთში (15 კომლი, 77 მამაკაცი, 45 ქალი, სულ: 122 სული) (ახლოური, 2021 ბ: 285-293). იმ დროისთვის ქვემო ქარჩოხში სულ 7 სოფელი იყო, 6 ქართველებით და 1 ოსებით დასახლებული, 70 კომლი ქართველები და 15 კომლი ოსები. მცხოვრებთა რაოდენობა 622 სულს შეადგენდა, 500 ქართველი, 122 ოსი. აქედან 374 მამრობითი სქესის (297 ქართველი, 77 ოსი), 248 მდედრობითი სქესის (203 ქართველი, 45 ოსი).

თუ როგორ შეიცვალა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ 60-იან  წლებში, ქვემო ქარჩოხის ხეობაში დემოგრაფიული ვითარება, ამის გასაანალიზებლად მნიშვნელოვანი წყაროა 1860 წლის რუსული კამერალური აღწერა.

ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობა იმ დროისთვის თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში შედიოდა. ტექსტების ნაწილი ქართულ და რუსულ ენებზეა, ნაწილი - მხოლოდ რუსულ ენაზე.

კამერალური სია, შედგენილი 1860 წლის 15 თებერვალს.

*სოფელ ბალაანთკარში* ლევანის ძეების: ალექსანდრე, მიხეილ, ნიკოლოზ ერისთავების საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (ქართულ-რუსული ტექსტი):

*კომლი 1.* დავით კაციას ძე მარტიაშვილი - 47 წლის,

ამისი შვილები: 1. ნინიკა - 16 წლის, ახალშობილი (ახალშობილში იგულისხმებოდა პირი, რომელიც წინა 1843 წლის კამერალური აღწერის დროს დაბადებული არ იყო),

2. გლახა - 13 წლის, ახალშობილი,

3. თედო - 10 წლის, ახალშობილი.

დავითის ბიძაშვილი გიგოლა კიკოლას ძე მარტიაშვილი - 36 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 4.

კომლი - 1. მამრნი - 5. მდედრნი - 4.

აღწერას ახლავს მისი სიზუსტის დამადასტურებული ტექსტი: „ყოველნი სოფლის კუთვნილნი სახლობანი და მათ შორის სულნი თხუთმეტის რიცხვსა შინა თებერვლისასა 1960 წელსა ამას სიასა შინა ჩვენებულ არიან ჭეშმარიტად და გაშვებულნი არ არიან. ხოლო უკეთუ შემდეგ ამისა აღმოსჩნდეს შთამატებული რაიმე, მაშინ ვიყვეთ პასუხის მგებელი საფუძველსა ზედა კანონთასა შედგენისათვის ამა აღწერისა, რომელზედაც ხელს ვაწერ თ˜ა ალექსანდრე ლევანის ძე ერისთავი“ (ხელმოწერილია).

*სოფელი ბალაანთკარი ანუ ახალდაბა.* გენერალ მაიორის თავად მამუკა ჯამბაკურ ორბელიანის კნეინა ქეთევანის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (რუსული ტექსტი):

*კომლი 2.* ხოსრო პაპას ძე ბალაშვილი - 70 წლის,

ამისი შვილები: 1. ანდრია - 40 წლის,

2. მალხაზა - 30 წლის,

3. პაპი - 20 წლის,

4. გიორგი - 15 წლის.

ძმიშვილები ანდრიასი: 1. თედო - 10 წლის,

2. ნიკო - 8 წლის,

3. ყარამან - 6 წლის,

4. გაბიდა - 4 წლის.

ძმიშვილი ხოსროსი გაბრიელ აბრამის ძე - 30 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 9.

*კომლი 3.* შალიკო ივანეს ძე ბალაშვილი - 20 წლის,

ძმა შალიკოსი მიხეილ - 20 წლის,

ბიძაშვილი შალიკოსი დიმიტრი ზაქარას ძე - 5 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

*კომლი 4.* სოლომონ იოსების ძე ბალაშვილი - 45 წლის,

ძმა სოლომონისა ტარიელ - 32 წლის,

შვილები ტარიელისა: 1. სოსიკა - 5 წლის,

2. ივანე - 3 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 8.

*კომლი 5.* გაბიდა გარსევანის ძე ბალაშვილი - 72 წლის,

ამისი შვილები: 1. პეტრე - 32 წლის,

2. აბრამი - 25 წლის,

3. მოსე - 15 წლის.

ძმები გაბიდასი: 1. გრიგორი - 50 წლის,

2. დათიკო - 40 წლის.

შვილები დათიკოსი: 1. სოსიკა - 15 წლის,

2. გიორგი - 7 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 9.

*კომლი 6.* ბერი გოგიას ძე ბალხამიშვილი - 80 წლის,

ამისი ძმა შიო - 50 წლის,

შვილები შიოსი: 1. სვიმონა - 15 წლის,

2. ეფრემა - 5 წლის.

ძმიშვილები ბერისა, ოთარის ძენი: 1. ნინიკა - 30 წლის,

2. აბრამი - 20 წლის.

შვილი ნინიკასი სოსიკა - 5 წლის.

ბიძაშვილი ბერისა ფოცხვერა სოსის ძე - 30 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 9.

*კომლი 7.* დათიკო იოსების ძე პავლეშვილი (პავლიაშვილი) - 40 წლის,

ბიძაშვილები დათიკოსი, შიოს შვილები:

1. მოსე - 38 წლის,

2. ნინიკა - 20 წლის.

შვილი მოსესი გიორგი - 1 წლის.

ბიძაშვილი დათიკოსი გიორგი დავითის ძე - 28 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 5.

კომლი გადაშლილია და მითითებულია, რომ უკვე აღწერილია სოფელ პავლიანთკარში.

*კომლი 8.* ტარიელ მიხეილის ძე პავლეშვილი (პავლიაშვილი) – 50 წლის,

ამისი შვილები: 1. ზაქარა - 12 წლის,

2. ბასილა - 6 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

კომლი გადაშლილია და მითითებულია, რომ უკვე აღწერილია სოფელ პავლიანთკარში.

კომლი - 7. მამრნი - 41. მდედრნი - 46.

სულ სოფელ ბალაანთკარში აღწერილია 8 კომლი, 46 მამრობითი და 50 მდედრობითი სქესის (96 სული). ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები.

შემაჯამებელ ცნობებს ხელს აწერს ქარჩოხის ხეობის ნაცვალი იასე საბიაშვილი და აღმორჩეული კაცნი გიგოლა ბალაშვილი და ხოსრო ბალაშვილი, რადგანაც ამათ წერა არ იცოდნენ, ამათი თხოვნით და ხელის ჩამორთმევით ხელს აწერს ისაკ დურგლიოვი (დურგლიშვილი) (სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 254, ფურ. 36-43).

აღწერიდან ჩანს, რომ სოფელი მოხსენიებულია როგორც ახალდაბის, ისე ბალაანთკარის სახელწოდებით, პავლიაშვილების 2 კომლი ბალაანთკარში შეცდომითაა აღრიცხული. რეალურად, სოფელში 8 კომლის ნაცვლად 6 კომლია, 38 მამაკაცი და 42 ქალი. სამივე გვარი, რომელიც სოფელში XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ცხოვრობდა, საუკუნის მერეც გვხვდება (ქარჩოხის მოურავის ოჯახი თინიკაშვილების ნაცვლად უკვე ბალაშვილებად ეწერებიან). დომინანტი გვარი ბალაშვილები 4 კომლია, 25 მამაკაცი და 29 ქალი (54 სული), მარტიაშვილები - 1 კომლი, 5 მამაკაცი და 4 ქალი, ბალხამიშვილები - 1 კომლი, 8 მამაკაცი და 9 ქალი (17 სული). ბალაშვილების გვარში ფიგურირებს სახელი გაბიდა. თინიკაშვილების  და შემდგომ მათგან მომდინარე ბალაშვილების, ისევე, როგორც ახლოურებისა და ხოკრიშვილების, საერთო წინაპარი ფშაველი გაბიდაურია, რომელიც მესისხლეობის ცნობილ ტრადიციას უნდა გამორიდებოდა ქსნის ხეობაში (ახლოური, 2019: 30). „მთიელთა მიგრაციას მთისწინეთსა და ბარში ხშირად აპირობებდა მოქმედი ხალხური სამართალი. მესისხლეობის გამო შიდა ქართლის მთიელები მამა-პაპათა საცხოვრისს ტოვებდნენ“ (თოფჩიშვილი, 2002: 80). ბალაშვილები არ ივიწყებენ თავდაპირველ გვარს, რომლის ფუძეც საკუთარ სახელადაა ქცეული.

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 14 თებერვალს.

სოფელ მიდელაანთკარში ლევანის ძეების ალექსანდრე, მიხეილ, ნიკოლოზ ერისთავების საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (ქართულ-რუსული ტექსტი):

*კომლი 1.* მახარე სიხარულის ძე კურდღელა შვილი (მამიშვილობა გვარადაა მითითებული) - 60 წლის,

ამისი შვილი ზაქარა - 30 წლის,

ზაქარას შვილი მათე - 5 წლის, ახალშობილი,

კიდევ მახარეს შვილი შიო - 14 წლის, ახალშობილი,

მახარეს ძმისწული მალხაზ გიგოლას ძე კურდღელაშვილი – 11 წლის ახალშობილი,

მალხაზის ძმა მოსე - 7 წლის ახალშობილი,

კიდევ მახარეს ძმისწული დავითა იოსების ძე კურდღელაშვილი – 27 წლის,

ამისი შვილი.... (სახელი მითითებული არ არის) – 5 წლის, ახალშობილი,

დავითას ძმა სოლომონი - 16 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 9.

კომლი - 1. მამრნი - 9. მდედრნი - 9.

აღწერას ახლავს დამადასტურებელი მინაწერი: „ყოველნი სოფლის კუთვნილნი სახლობანი და მათ შორის სულნი თხუთმეტის რიცხვსა შინა თებერვლისასა 1860 წელსა ამას სიასა შინა ჩვენებულ არიან ჭეშმარიტად და გაშვებულნი არ არიან. ხოლო უკეთუ შემდეგ ამისა აღმოსჩნდეს შთამატებული რაიმე, მაშინ ვიყვეთ პასუხის მგებელი საფუძველსა ზედა კანონთასა შედგენისათვის ამა აღწერისა, რომელზედაც ხელს ვაწერ თ˜ა ალექსანდრე ლევანის ძე ერისთავი“ (ხელმოწერილია).

სოფელ მიდელაანთკარში კაპიტან თავად ელიზბარ პავლეს ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (რუსული ტექსტი):

*კომლი 1 (2).* დავით ბეროს ძე მიდელაშვილი - 80 წლის (წაშლილია 95),

ამისი ძმიშვილები: 1. აღდგომელ შიოს ძე - 30 წლის,

აღდგომელას შვილები: ალექსი - 6 წლის, ახალშობილი,

ტეტია - 2 წლის, ახალშობილი.

2. ზაქარია - 25 წლის,

ამისი შვილი ბერო - 3 წლის, ახალშობილი.

3. გარსევან - 20 წლის, გაშვებული იყო,

ამისი შვილი ივანე - 3 წლის, ახალშობილი.

4. მოსე - 12 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 5.

*კომლი 2 (3).* ტარიელ გიგოლას ძე მიდელაშვილი - 30 წლის,

ამისი ძმები მიდელა - 25 წლის,

მახარობელი - 20 წლის, გაშვებული იყო,

სოლომონ - 12 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 4.

*კომლი 3 (4).* გაბო გიორგის ძე მიდელაშვილი - 35 წლის,

ამისი ძმები ზურაბა - 30 წლის,

აბრამ - 25 წლის, გაშვებული იყო.

რიცხვი დედაკაცთა - 5.

*კომლი 4 (5).* გიგოლა ბეროს ძე მიდელაშვილი - 80 წლის,

ამისი ძმიშვილები, გლახას ძენი: გაბრიელ - 45 წლის, გაშვებული იყო,

პავლე - 12 წლის, ახალშობილი (ჩემი წინაპარი დედის ხაზით - დ.ა.)

რიცხვი დედაკაცთა - 6.

*კომლი 5 (6).* სიხა პატარკაცის ძე მიდელაშვილი - 80 წლის,

ამისი შვილი ვანო - 2 წლის.

ძმისწული სოსიკა გიორგის ძე - 30 წლის, გაშვებული იყო.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

*კომლი 6 (7).* გოგი დემეტრეს ძე მიდელაშვილი - 45 წლის, გარდაიცვალა 1860 წელს,

ამისი ბიძაშვილი ალექსი - 4 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 7.

*კომლი 7 (8).* გოგია სოსიას ძე მიდელა შვილი - 35 წლის,

ამისი შვილი, ახალდაბადებული იოსებ - 5 დღის,

ბიძაშვილი გოგიასი საბრალო მახარობელის ძე - 15 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

*კომლი 8 (9).* ანდრია ოთარის ძე მიდელა შვილი - 45 წლის,

ამისი ძმიშვილი გიორგი - 15 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

*კომლი 9 (10).* სოსია ბეროს ძე მიდელაშვილი - 60 წლის, გაშვებული იყო,

ამისი ძმა ხოსრო - 55 წლის,

შვილი ხოსროსი მოსე - 15 წლის, ახალშობილი.

ძმიშვილი მათი გლახა - 25 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 4.

*კომლი 10 (11).* მეუღლე ბერი მიდელაშვილისა მარინა (ასაკი მითითებული არაა).

რიცხვი დედაკაცთა - 1.

*კომლი 11 (12).* ნინიკა პატარკაცის ძე მიდელაშვილი - 60 წლის,

ამისი შვილები: 1. თევდორე 30 წლის,

2. როსტომ - 25 წლის, გაშვებული იყო,

3. ზაქარია - 20 წლის,

4. პეტრე - 15 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

კომლი - 11. მამრნი - 36. მდედრნი - 44.

სულ სოფელ მიდელაანთკარში 12 კომლია, 45 მამაკაცი და 53 ქალი (98 სული) ქართველები, მართმადიდებელი ქრისტიანები (სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 255, ფურ. 312-315). ტრადიციულად სოფელ მიდელაანში მიდელაშვილები ცხოვრობდნენ, ისინი არაგვის ხეობიდან არიან მიგრირებულნი, კერძოდ სოფელ მიდელაურთკარიდან, რომელიც ხადის ხეობაშია. ისინი დღემდე არ ივიწყებენ მამაპაპისეულ კერას, იქ არსებულ სალოცავებსა და პერიოდულად სტუმრობენ მოსალოცად.

2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, მიდელაანში 91 მცხოვრები იყო, 41 მამაკაცი და 50 ქალი (საქართველოს მოსახლეობის... 2003: 119), ძირითადი ნაწილი მიდელაშვილები, 5 კომლი კი სხვა გვარის წარმომადგენლები: ახლოურები, გამხიტაშვილები, გაროზაშვილები და ქენქაძეები (2 კომლი).

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სოფლის მოსახლეობას იძულებით მოუხდა სამკვიდროს დატოვება, დღეს ისინი ფრეზეთის დევნილთა დასახლებაში ცხოვრობენ.

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 16 მარტს.

*სოფელ ქენქანთკარში* თავად დავით ლუარსაბის ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (რუსული ტექსტი):

*კომლი 1.* ბერუა ოქროპირის ძე ქენქაძე - 52 წლის,

რიცხვი დედაკაცთა - 1.

*კომლი 2.* შიო გლახას ძე ქენქაძე - 16 წლის,

ამისი ძმა ნინიკა - 14 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

კომლი - 2. მამრნი - 3. მდედრნი - 3.

*კომლი 3.* ბერო გამიხარდის ძე ქენქაძე - 40 წლის,

ამისი შვილი გიგო - 7 წლის,

ბეროს ძმა გიგო - 28 წლის.

გიგოს შვილი გიორგი - 1 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

*კომლი 4.* გარსევან იოსების ძე ქენქაძე - 40 წლის,

რიცხვი დედაკაცთა - 1.

*კომლი 5.* გლახა გოგიას ძე ქენქაძე - 40 წლის,

ამისი შვილი საბრალო - 5 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

*კომლი 6.* ზაქარა შიოს ძე ქენქაძე - 30 წლის,

ამისი ძმა სოლომონ - 20 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

ოჯახი გადასახლდა სოფელ ხანდაკში.

*კომლი 7.* გოგილა სოსიას ძე ქენქაძე - 16 წლის,

ამისი ძმა დათიკა - 13 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

კომლი - 5. მამრნი - 11. მდედრნი - 8.

დამოწმებულია დავით ლუარსაბის ძე ერისთავის მიერ.

*სოფელ ქენქაანთკარში* ლევანის ძეების, თავადების: ალექსანდრე, მიხეილ და ნიკოლოზ ერისთავების საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (ქართულ-რუსული ტექსტი):

*კომლი 1 (8).* ქიტესა ბეროს ძე ქენქაძე - 57 წლის,

ამისი შვილები: 1. გლახა - 6 წლის,

ზაქარა - 3 წლის.

ქიტესას ძმა გიორგი - 36 წლის.

გიორგის შვილი სოსიკა - 1 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

*კომლი 2 (9).* გიორგი ივანეს ძე ქენქაძე - 55 წლის, გაშვებული იყო.

ამისი შვილები: 1. საბრალო - 9 წლის,

ივანე - 5 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

კომლი - 2. მამრნი - 8. მდედრნი - 5.

აღწერას ახლავს მინაწერი: „ყოველნი სოფლის კუთვნილნი სახლობანი და მათ შორის სულნი რიცხვისა შინა თებერვლისას ამას სიას შინა ჩვენებულ არიან ჭეშმარიტად და გაშვებულნი არ არიან. ხოლო უკეთუ შემდეგ ამისა აღმოსჩნდეს შთამატებული რაიმე მაშინ ვიყვეთ პასუხის მგებელი საფუძველსა ზედა კანონთასა შედგენისათვის ამა აღწერისა, რომელზედაც ხელს ვაწერ თ˜ა ალექსანდრე ლევანის ძე ერისთავი“ (ხელმოწერილია).

*სოფელ ქენქაანთკარში* გენერალ მაიორის თავად მამუკა ჯამბაკურ ორბელიანის კნეინა ქეთევანის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (ქართულ-რუსული ტექსტი):

კომლების აღრიცხვა გრძელდება მე-9 კომლიდან, რადგან ზაქარა შიოს ძე ქენქაძის ოჯახი გადასახლდა სოფელ ხანდაკში.

*კომლი 1 (9).* ბერუცა გოგიას ძე ქენქაძე - 50 წლის, გაშვებული იყო.

ძმიშვილები ბერუცასი, გლახას ძენი: დავით - 8 წლის,

გიორგი - 1 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

*კომლი 2 (10).* დავით ბეროს ძე პეტრე შვილი - 40 წლის,

ამისი ძმა ანდრია - 20 წლის, გაშვებული იყო.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

*კომლი 3 (11).* გიგოლა სიხარულის ძე თინიკაშვილი - 70 წლის,

ამისი შვილები: 1. ნინიკა - 16 წლის.

დიმიტრი - 10 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

ოჯახი გადმოსახლებულია 1850 წელს სოფელ თინიკაანთკარიდან.

*კომლი 4 (12).* როსტომ აღდგომელას ძე ქენქაძე - 35 წლის,

შვილი როსტომის გიორგი - 1 წლის.

ბიძაშვილი როსტომის ანტონ ქიტესას ძე - 20 წლის, გაშვებული იყო.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

შემაჯამებელ ცნობებს ხელს აწერენ ქარჩოხის ხეობის ნაცვალი გიგო კარელიძე და აღმორჩეული კაცები დავით პაპუნიშვილი და როსტომ პაპუნაშვილი (გვარის ერთ-ერთი ფორმა შეცდომითაა მითითებული). რადგანაც ამათ წერა არ იცოდნენ, ამათი თხოვნით და ხელის ჩამორთმევით ხელს აწერს ისაკ დურგლიოვი (დურგლიშვილი).

ამას მოსდევს სოფელ ბეჟუანთკარის აღწერა. თუმცა მოგვიანებით ბეჟუანთკარი გადახაზულია. ბეჟუანთკარი გახლდათ ნასოფლარ გოლგოლეთის უბანი, რომელიც ქენქაანთკარის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა.

*კომლი 1 (13).* ბერი შერმაზანას ძე ქენქაძე - 60 წლის. გარდაცვლილა 1860 წელს,

ამისი შვილი სიხა - 30 წლის,

შვილი სიხასი ივანე - 2 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

*კომლი 2 (14).* დავით მირზას ძე ქისი შვილი - 35 წლის,

ამისი ძმები: ივანე - 30 წლის,

ლევანი - 25 წლის

რიცხვი დედაკაცთა - 4.

კომლი გადასახლდა დუშეთის მაზრის სოფელ შუახევში, ამიტომ მოგვიანებით იგი გადახაზულია და ამოღებულია კომლთა სიიდან.

*კომლი 3 (14).* როსიბო ყარამანის ძე ქისი შვილი - 45 წლის,

ამისი შვილი გიგო - 10 წლის,

ძმები როსიბოსი: 1. სოლომონ - 35 წლის,

შვილები სოლომონისა: სოსიკა - 12 წლის,

ტატო - 6 წლის.

ძმა 2. მოსე - 25 წლის,

ამისი შვილი გიორგი - 14 წლის.

ძმა 3 შიო - 20 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 4.

ბოლოს დასახელებული პირები: მოსე გიორგი და შიო წაშლილია და მინიშნებულია, რომ გადასახლდნენ დუშეთის მაზრის სოფელ შუახევში.

სულ სოფელ ბეჟანაანთკარში

კომლი - 3. მამრნი - 14. მდედრნი - 15.

ხოლო სრულიად ქენქაათკარში 16 კომლი, 47 მამაკაცი და 40 ქალი (87 სული) (სეასცა, ფ. 254, ანაწერი 2, საქმე 252, ფურ. 499-506).

გადმოცემით, ქენქაძეები გორის რაიონის სოფელ თორტიზიდან მოსულან და გვარად ქარუმიძეები ყოფილან. მათ ბიძაშვილებად ითვლებიან გეზევრეთში მცხოვრები ჭოჭელები და სოფელ ჭორჭოხში დამკვიდრებული საბიაშვილები. ქენქაძეები ცხოვრობდნენ ასევე გოლგოლეთსა და ხარბალში.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სამთავისის გამოსავლის დავთრის მიხედვით ქენქაანში 11 კომლი ცხოვრობდა, ყველა მათგანი ქენქაძე იყო (ქართული სამართლის ძეგლები, 1970: 1048-1049; ჯავახიშვილი, 1974: 177). XIX საუკუნის დასაწყისში ქენქაანთკარში 10 კომლია აღრიცხული, 43 მამაკაცი და 34 ქალი (77 სული) (გსიემ, 1956: 78-80). 1860 წლის შემაჯამებელ ცნობებში სოფლიდან მიგრირებული მოსახლეობაცაა მითვლილი. როგორც ვხედავთ, ქენქაანში დემოგრაფიული ვითარება შეცვლილია, 1850 წელს თინიკაანთკარიდან გადმოსახლებულა თინიკაშვილების ერთი ოჯახი, ქარჩოხის ხეობის სოფელ ლომისიდან არიან მოსულები ბეჟუანთკარში მითითებული ქისიშვილები, რომელთა დიდი ნაწილიც ახალი სამკვიდროდან მალევე გადადის დუშეთის მაზრის სოფელ შუახევში. ზაქარა შიოს ძე ქენქაძის ოჯახი გადასახლდა გორის მაზრის სოფელ ხანდაკში. ცალკე სოფლად აღარ წერენ გოლგოლეთს, რომელიც ჯერ კიდევ X საუკუნიდან

იხსენიება სამთავნელის სამწყსოს დავთარში, მისი ერთ-ერთი უბანი ბეჟუანთკარი უკვე ქენქაანთკარსაა მითვლილი.

2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის მონაცემებით, ქენქაანში 101 ადამიანი ცხოვრობდა, 53 მამაკაცი და 48 ქალი. 2008 წლის აგვისტოს ომამდე დემოგრაფიული ვითარება დიდად არ შეცვლილა, იმ დროისთვის სოფელში 23 კომლი იყო, ძირითადად, ქენქაძეები, ასევე შამშალაიძეები, გაროზაშვილები, ილურიძეები, თინიკაშვილები, გამხიტაშვილები, წიპტაურები... ომის შემდეგ 8 ადამიანი იყო დარჩენილი. ქენქაძეების მასიური მიგრირება XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო, ისინი შირაქის ველზე, ზემო ქედში დასახლდნენ. 1972 წლის მონაცემებით ზემო ქედში (დედოფლისწყარო) 24 კომლია აღნუსხული, მათ შორის უნდა მოვიაზროთ როგორც ქენქაანთკარიდან, ისე მეზობელ სოფელ გოლგოლეთიდან მიგრირებული მოსახლეობა. 2016 წლის აღწერის მონაცემებით საქართველოში სულ 981 ქენქაძეა, მათი დიდი ნაწილი თბილისში (305 სული), კასპში (141 სული) და დედოფლისწყაროში (103 სული) ცხოვრობს. ახალგორში კი 191 ქენქაძე იყო აღრიცხული (კვაჭანტირაძე, 2017: 493).

*სოფელ ძაბოეთში* გენერალ მაიორის თავად მამუკა ჯამბაკურ ორბელიანის კნეინა ქეთევანის საბატონო მამულზედ მცხოვრები ყმები (ქართულ-რუსული ტექსტი):

*კომლი 1.* გაბიჩა ყარაბას ძე გოჭისშვილი - 50 წლის,

ამისი შვილი საბრალო - 2 წლის, ახალშობილი,

გაბიჩას ძმა სოლომან - 35 წლის,

ამისი შვილი ზაქარია - 3 წლის, ახალშობილი.

გაბიჩას ბიძის ათანასეს ძე(ნი): 1. ფინი - 34 წლის, გაშვებული იყო,

2. დემეტრე - 30 წლის, გაშვებული იყო.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

*კომლი 2.* კიკოლა რევაზას ძე გოჭისშვილი - 40 წლის, გაშვებული იყო,

ამისი ძმა გოგია - 30 წლის.

კიკოლას ბიძის სულთანას ძე ანდრია - 10 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 4.

*კომლი 3.* თადია ივანეს ძე მუზაშვილი - 80 წლის,

ამისი შვილი ყავდინა - 40 წლის.

ამისი შვილები: 1. ქუჯანა - 15 წლის,

2. როსტომა - 7 წლის, ახალშობილი.

3. ლევანა - 2 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 5.

რუსულ ტექსტში კომლი გადახაზულია და მითითებულია, რომ საცხოვრებლად გადავიდა სოფელ ქარტისში.

*კომლი 4.* ყიბილა გაჩას ძე ყარაშვილი - 80 წლის,

ამისი შვილები: 1. მოსე - 40 წლის,

2. ბეცია - 30 წლის.

ყიბილას ძმის ლაქის ძე (ნი): 1. სვიმონა - 35 წლის,

2. ზაქარა - 25 წლის,

3. მალხაზა - 20 წლის.

სვიმონას შვილი გუგუნა - 6 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 7.

კომლი გადასახლდა მონასტერში, გარდა ოჯახის უფროსის, ყიბილასი, რომელიც 80 წლის იყო და ჩანს, არ ისურვა სოფლიდან წასვლა.

*კომლი 5.* ტატუჩა აჯოს ძე კაჯილაშვილი - 40 წლის,

ამისი შვილები: 1. ლევანი - 8 წლის, ახალშობილი,

2. ივანე - 5 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

ოჯახი გადასახლდა ზახორში.

*კომლი 6.* დათო თევდორეს ძე მუზაშვილი - 25 წლის,

ამისი ძმები: 1. გიორგი - 20 წლის,

2. შალიკო - 12 წლის, ახალშობილი.

დათოს ძმის, შიოს შვილები: 1. გაბრიელ - 10 წლის, ახალშობილი,

2. ბიძინა - 5 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

*კომლი 7.* ლევანა ჩარაგონის ძე ყარაშვილი - 50 წლის,

ამისი შვილები: 1. ბასილა - 20 წლის,

2. ფიდო - 10 წლის, ახალშობილი.

ლევანას ძმა ივანე - 35 წლის,

ამისი შვილი ტატე - 1 წლის, ახალშობილი.

ლევანას ძმის რევაზას შვილი ზურაბ - 2 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 6.

*კომლი 8.* ება ჯიოს ძე ყარაშვილი - 55 წლის,

ამისი შვილი გიორგი - 35 წლის,

გიორგის შვილები: 1. ქუჯა - 8 წლის, ახალშობილი,

2. ყამბარა - 4 წლის, ახალშობილი.

ებას ძმა გაბიჩა - 40 წლის.

ებას ძმის კაბილას შვილი დათიკა - 5 წლის, ახალშობილი.

ებას ბიძის ჯიკის შვილი დავითა - 35 წლის,

ამისი შვილი ქუჯანა - 5 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 5.

ებას ოჯახი, ძმის გაბიჩას ჩათვლით გადასახლდა სოფელ მონასტერში.

*კომლი 9.* გაგო გაზას ძე ბაგულაშვილი - 70 წლის,

ამისი შვილი გულა - 3 წლის, ახალშობილი.

გაგოს ძმა ბიძინა - 50 წლის.

ამისი შვილები: 1. ზაქარა - 25 წლის,

2. მიხეილ - 20 წლის.

გაგოს ძმის გენეს შვილები: 1. ანდრია, 20 წლის,

2. ტეტიკა - 15 წლის, ახალშობილი,

3. რაჯაბა - 12 წლის, ახალშობილი,

4. მათე - 7 წლის, ახალშობილი.

გაგოს ბიძის თოთრის ძენი: 1. გუგუნა - 52 წლის,

2. ლუა - 40 წლის,

3. ბერუა - 35 წლის,

4. სოლომონ - 32 წლის,

5. ბიძინა - 25 წლის.

ლუას შვილი მალხაზა - 10 წლის, ახალშობილი.

გაგოს ბიძის შავკუჯას ძენი: 1. ომანა - 38 წლის,

2. ტატო - 30 წლის.

ომანას შვილები: 1. ბიძინა - 10 წლის, ახალშობილი,

2. იასე - 5 წლის, ახალშობილი.

გაგოს ბიძის სოსიას შვილი სვიმონა - 28 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 18.

გაგოს და მისი ძმის ბიძინას ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა სოფელ მონასტერში.

კომლი - 9, მამრი - 63 (წყაროში 64-ია), მდედრი - 51 (სულ 114 სული). ოსები, მართლმადიდებელი ქრისტიანები.

მინაწერს ახლავს დამადასტურებელი ცნობა: „ყოველნი სოფლის კუთვნილნი სახლობანი და მათ შორის სულნი იანვრის 5-სა 1860-სა წელსა ამას სიასა შინა ჩვენებულ არიან ჭეშმარიტად და გაშვებულნი არა არიან. ხოლო უკეთუ შემდეგ ამისა აღმოსჩნდეს შთამატებული რაიმე მაშინ ვიყვნეთ პასუხის მგებელნი საფუძველსა ზედა კანონისა შედგენისათვის ამა აღწერისა, რომელსა ზედაც ხელს ვაწერთ კნეინა ქეთევან ჯამბაკურიან ორბელიანოვის მოურავნი: სოსია მამამთავრისაშვილი, ხოსრო ბალაშვილი და ნინიკა პავლეშვილი. რადგან ამათ წერა არ იცოდნენ, ამათის თხოვნით და ხელის ჩამორთმევით ხელს ვაწერ სვიმონ ბეჟანის ძე გიგაური. (სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 254, ფურ. 113-117). ძაბოეთი ძველი ქართული სოფელი იყო, რომელიც X საუკუნის სამთავისის გამოსავლის დავთარშია ნახსენები. XVIII საუკუნიდან აქ ოსური მოსახლეობა დამკვიდრდა. ისინი ქსნის ხეობაში დვალეთიდან გადმოსულან, უფრო კონკრეტულად - ზახადან, რომელიც ისტორიული დვალეთის ცენტრალური ხეობა გახლდათ. თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ ძაბოეთში ხშირად ხდებოდა მოსახლეობის სხვადასხვა ნაკადის მონაცვლეობა და შესაბამისად იცვლებოდა დემოგრაფიული ვითარებაც.

ძაბოეთს თავის მოგზაურობის ჩანაწერებში ახსენებს იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტი და აღნიშნავს, რომ იგი სხვა სოფლებთან ერთად ეკუთვნის ქსნის ერისთავს. ამ დროისთვის ძაბოეთი უკვე ოსებითაა დასახლებული... რაც გერმანელ მოგზაურს პირველ რიგში შეუმჩნევია, ისაა, რომ ქართველები და ოსები „კარგად ეთვისებიან ერთმანეთს", ამასთან,

როგორც ქართლის, ისე იმერეთის მეფის მორჩილი ოსები „მთლად ქართველებივით ცხოვრობენ" (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, 1962: 275; 1964: 63).

1804 წლის რუსული კამერალური აღწერის მიხედვით ძაბოეთში 15 კომლი ცხოვრობდა, 77 მამაკაცი და 45 ქალი (125 სული). მათ შორის ყველაზე მეტი მუზაშვილები იყვნენ - 7 კომლი, ვხვდებით ასევე გუშიშვილებს, კუსაშვილებს, გოჭასშვილებს (გოჭისშვილებს), კაძილაშვილებს (კაჯილაშვილებს), კაძაშვილებს... (გსიემ, 1956: 84-86). 1860 წლის აღწერაში 3 კომლი ყარაშვილები არიან, 21 მამაკაცი, 18 ქალი (39 სული), გოჭისშვილები - 2 კომლი, 9 მამაკაცი, 7 ქალი (16 სული), მუზაშვილები - 2 კომლი, 10 მამაკაცი, 7 ქალი (17 სული), კაჯილაშვილები - 1 კომლი, 3 მამაკაცი, 1 ქალი (4 სული), ბაგულაშვილები - 1 კომლი, 20 მამაკაცი, 18 ქალი (38 სული). სოფლიდან მიგრაციის ხშირ შემთხვევებსაც ვხვდებით, მუზაშვილები ქარტისში გადასახლებულან, ყარაშვილები და ბაგულაშვილები მონასტერში, კაჯილაშვილები ზაყორში. მიგრაცია მომდევნო წლებშიც გაგრძელდა... 1959 წლის აღწერით ძაბოეთში 17 სული იყო დარჩენილი. 1970 წლის აღწერის მონაცემებში კი ძაბოეთი აღარ გვხვდება (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020). 1960 წელს ძაბოეთი დატოვა და მიდელაანის ჩრდილოეთით, „ძაბურთხევზე" სოფლის განაპირას დასახლდა ფირუზ მუზაევის ოჯახი, ვლადიკავკაზში წავიდა ილა მუზაევი, ქენქაანში გადასახლდა ბოლო მკვიდრი ბათა (ბათირბეგ) კორაევი.

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 14 თებერვალს

*სოფელ ჭორჭოხში* ლევანის ძეების, თავადების ალექსანდრე, მიხეილ და ნიკოლოზ ერისთავების საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (ქართულ-რუსული ტექსტი):

*კომლი 1.* ზაქარა გიორგის ძე ქაწაშვილი - 25 წლის,

ამისი შვილი გიორგი - 4 წლის (ახალშობილი არ უწერია არავის).

ზაქარას ძმა პეტრე - 7 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 4.

*კომლი 2.* თევდორე თამარის ძე ქაწაშვილი - 45 წლის,

ამისი შვილები: 1. მალხაზი - 12 წლის,

2. დათიკა - 10 წლის,

3. სოლო - 8 წლის,

4. ალექსა - 6 წლის,

5. ისაკა - 4 წლის.

რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.

*კომლი 3.* სოსია ნინიას ძე ქაწაშვილი - 30 წლის,

ამისი შვილები: 1. ივანე - 3 წლის,

2. გიორგი - 2 წლის,

სოსიას ძმა 2. გაბრიელ - 25 წლის,

გაბრიელის შვილი გიორგი - 2 წლის.

სოსიას ძმა 3. აბრამი - 20 წლის.

კიდევ სოსიას ძმები: 4. როსტომ - 15 წლის,

5. სიხა - 11 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

რუსულ ტექსტში სოსიას ოჯახი (სოსიას ძმა გაბრიელამდე) გადახაზულია და მითითებულია, რომ გადასახლდა გორის მაზრის სოფელ აღაიანში.

*კომლი 4.* გიგოლა იოსების ძე ქაწაშვილი - 40 წლის,

ამისი შვილები: 1. დიმიტრი - 12 წლის,

2. სვიმონა - 10 წლის,

3. ფიდუა - 6 წლის,

4. იაკოფი - 3 წლის.

გიგოლას ბიძაშვილი ანდრია ზურაბის ძე - 25 წლის,

ანდრიას შვილი მიხაკა - 3 წლის.

ანდრიას ძმა გიორგი - 17 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

რუსულ ტექსტში კომლი მთლიანად გადახაზულია და ნაჩვენებია, რომ გადასახლდა გორის მაზრის სოფელ აღაიანში.

*კომლი 5.* გიგოლა აღდგომელის ძე ბალხამიშვილი - 80 წლის,

ამისი შვილები: 1. აღდგომელი - 9 წლის,

2. ანდრია - 5 წლის.

გიგოლას ძმა იმედა - 60 წლის,

იმედას შვილი გაბრიელი - 4 წლის.

გიგოლას ძმისწული ნინიკა შოთას ძე - 25 წლის.

ნინიკას ძმა თევდორე - 19 წლის.

კიდევ გიგოლას ძმისწული ქიტესა სოსიკას ძე - 4 წლის,

ქიტესას ძმა ალექსა - 1 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 5.

*კომლი 6.* იასე გლახას ძე საბიაშვილი - 36 წლის,

ამისი შვილები: 1. გლახა - 6 წლის,

2. ივანე - 5 წლის,

3. აბრამა - 3 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

*კომლი 7.* გლახა ნინიას ძე ბალხამიშვილი - 80 წლის,

ამისი შვილები: 1. ნინიკა - 18 წლის,

2. იაკოფი - 12 წლის.

გლახას ძმისწულები, გიგოლას ძეები: 1. ზაქარა - 12 წლის,

2. სოსიკა - 10 წლის.

გლახას ბიძაშვილი შალვა გლახას ძე ბალხამიშვილი - 25 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 4.

კომლი - 7. მამრნი - 44. მდედრნი - 20.

აღწერას ახლავს დამადასტურებელი მინაწერი: „ყოველნი სოფლის კუთვნილნი სახლობანი და მათ შორის სულნი თხუთმეტის რიცხვისა შინა თებერვლისასა 1860 წელსა ამას სიას შინა ჩვენებულ არიან ჭეშმარიტად და გაშვებულნი არ არიან. ხოლო უკეთუ შემდეგ ამისა აღმოსჩნდეს შთამატებული რაიმე მაშინ ვიყვნეთ პასუხის მგებელი საფუძველსა ზედა კანონთასა შედგენისათვის ამა აღწერისა, რომელზედაც ხელს ვაწერ თ~ა ალექსანდრე ლევანის ძე ერისთავი“ (ხელმოწერილია).

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 16 მარტს.

*სოფელ ჭორჭოხში ანუ ბალხამიანთკარში* დავით ლუარსაბის ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (რუსული ტექსტი):

აქედან აღრიცხვა ისევ მე-7 კომლიდან იწყება, რადგან წინა 7 კომლს გამოკლებულია მე-4 კომლი გიგოლა იოსების ძე ქაწაშვილის, რომელიც სოფელ აღაიანში გადასახლდა.

კომლი 7. გიგოლა დავითის ძე ბალხამიშვილი - 25 წლის,

იმისი ძმა ქიტესა - 20 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

*კომლი 8.* იაკობ გიორგის ძე ბალხამიშვილი - 20 წლის,

ამისი ძმა სოლომონ - 20 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

*კომლი 9.* ანდრია ოთარის ძე ბალხამიშვილი - 29 წლის,

იმისი ბიძაშვილი: 1. გიორგი - 28 წლის,

გიორგის შვილი ბარამ - 4 წლის.

კიდევ ბიძაშვილები ანდრიასი: 2. ივანე - 25 წლის,

3. ზაქარია - 19 წლის,

4. მალხაზ - 14 წლის,

5. დათიკო - 9 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 5.

კომლი - 3. მამრნი - 11. მდედრნი - 10.

მონაცემები დაზუსტებულია დავით ლუარსაბის ძე ერისთავის მიერ.

*სოფელ ჭორჭოხში ანუ ბალხამიანთკარში* გენერალ მაიორის, თავად მამუკა ჯამბაკურ ორბელიანის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (ქართულ-რუსული ტექსტი):

*კომლი 10.* ლევან გოლოშვილი - 40 წლის,

ამისი შვილი ივანე - 6 წლის,

ლევანის ძმიშვილები: სოსე - 17 წლის,

ტატო - 15 წლის,

პეტრე - 10 წლის,

პავლე - 5 წლის,

თომა - 8 წლის,

ფიდო - 6 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 10.

კომლი - 1, მამრნი - 8, მდედრნი - 10.

კომლი გადახაზულია, რადგან ცხოვრობს დუშეთის მაზრის სოფელ დელკანში.

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 14 თებერვალს.

*სოფელ ჭორჭოხში ანუ ბალხამიანთკარში* თავად რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (რუსული ტექსტი):

*კომლი 11.* ბერუა ოქროპირის ძე ქენქაძე - 45 წლის,

ამისი შვილი ივანე - 10 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

ოჯახი 1850 წელს გადმოსახლებულა სოფელ ქენქაანთკარიდან.

აღწერა დადასტურებულია ნაცვალ ზაზა კოდალაშვილისა და აღმორჩეული კაცების ლექსა გურჭიშვილისა და დათო იალყანაშვილის მიერ, რადგან ამათ წერა არ იცოდნენ, ამათი თხოვნით ხელს აწერს თომა ამირუმოვი (ხელმოწერილია).

ტექსტს მოსდევს ისევ რევაზ ერისთავის ყმების სია. კომლების აღრიცხვა იწყება მე-11 კომლიდან, რადგან წინა კომლებიდან გამოკლებულია მე-10 კომლი ლევან გოლოშვილის, რომელიც გადასახლდა სოფელ დელკანში.

*კომლი 11.* გიგო ადამის ძე ფოცხვერაშვილი - 25 წლის,

ძმა ამისი აბრამ - 20 წლის.

რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.

*კომლი 12.* გიგო გოდერძის ძე ფოცხვერაშვილი - 30 წლის.

რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.

კომლი - 2. მამრნი - 3. მდედრნი - 0.

*კომლი 13.* ივანე გიორგის ძე ბალხამიშვილი - 10 წლის,

რიცხვი დედაკაცთა - 1.

*კომლი 14.* ნინიკა გლახას ძე ბალხამიშვილი - 15 წლის.

რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.

კომლი - 2. მამრნი - 2. მდედრნი - 1.

*სოფელი ბალხამიანთკარში* გენერალ მაიორის თავად მამუკა ჯამბაკურ ორბელიანის კნეინა ქეთევანის საბატონო მამულზედ მცხოვრები ყმები:

*კომლი 15.* დავით გოგიას ძე ბალხამიშვილი - 70 წლის,

ამისი შვილები: 1. მათე - 20 წლის,

2. გიორგი - 8 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

*კომლი 16.* გარსევან გლახას ძე ბალხამიშვილი - 50 წლის,

ამისი შვილი დათიკო - 3 წლის,

ძმა გარსევანისა გაბრიელ - 40 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 5.

*კომლი 17.* დავით მირზას ძე პავლეშვილი (პავლიაშვილი) - 70 წლის,

ამისი შვილები: 1. მახარაბელი - 15 წლის,

2. ნინიკა - 10 წლის,

3. ზაქარა - 5 წლის (ჩემი წინაპარი დედის ხაზით - დ.ა.).

ბიძაშვილი დავითის მოსე ირემას ძე - 30 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

*კომლი 18.* გიგოლა გლახას ძე ბალხამიშვილი - 60 წლის,

ამისი შვილები: 1. სოსიკა - 10 წლის,

2. გაბო - 4 წლის.

გიგოლას ძმა მახარე - 35 წლის,

შვილი მახარესი გლახა - 1 წლის.

ბიძაშვილნი გიგოლასი, ნინიას ძენი 1. გიორგი - 50 წლის,

2. აბრამა - 40 წლის.

შვილი გიორგისი ანდრია - 3 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 7.

*კომლი 19.* გიგოლა ბერის ძე ბალხამიშვილი - 62 წლის,

ამისი შვილები: 1. გიორგი - 6 წლის,

2. სოსიკა - 3 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

*კომლი 20.* ბუთხუზი გაბრიელის ძე ბუთხუზი - 50 წლის,

ძმები ბუთხუზისა: 1. სოლომონ - 40 წლის,

2. შიო - 20 წლის.

შვილი სოლომონისა გაბო - 5 წლის.

ბიძაშვილი ბუთხუზისა ზაქარა სოსიას ძე - 8 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 5.

*კომლი 21.* შალვა კაციას ძე საბიაშვილი - 81 წლის,

ამისი შვილი კაცია - 55 წლის,

შვილიშვილები შალვასი, სოსიას ძენი: 1. დათიკო - 40 წლის,

2. გიგოლა - 30 წლის.

ბიძაშვილი შალვასი, გიგოლა ნინიას ძე - 35 წლის,

ამისი შვილი სოსიკა - 10 წლის.

ძმიშვილი გიგოლასი აბრამ დიმიტრის ძე - 8 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 8.

*კომლი 22.* გიგოლა სოსიას ძე საბიაშვილი - 40 წლის,

რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.

*კომლი 23.* ბერი გიორგის ძე საბიაშვილი - 50 წლის,

ამისი ძმა ზაქარა - 20 წლის,

ძმიშვილი ბერისა გიორგი გიგოლას ძე - 6 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

*კომლი 24.* გოგია დავითის ძე საბიაშვილი - 30 წლის,

ამისი შვილი გლახა - 2 წლის.

გოგიას ძმები: 1. სიხა - 20 წლის,

2. გიორგი - 16 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

*კომლი 25.* ზურაბ ქიტესას ძე საბიაშვილი - 41 წლის,

ამისი შვილი საბრალო - 1 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

*კომლი 26.* ნინიკა შალვას ძე საბიაშვილი - 50 წლის,

ამისი შვილები: 1. დათიკო - 15 წლის,

2. გიგო - 8 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

*კომლი 27.* გიორგი სოსიას ძე ფოციტაშვილი - 10 წლის,

რიცხვი დედაკაცთა - 1.

წყაროში მითითებულია 27 კომლი, სოფლიდან გადასახლებული კომლების გამოკლებით, მაგრამ, თუ მთლიან ჩამონათვალს გავითვალისწინებთ, ჭორჭოხში უცხოვრია 29 კომლს, 118 მამაკაცსა და 84 ქალს (202 სული). ოხირიდან გადმოსახლებული ოსი ეროვნების გოლოშვილების გარდა, ყველა მათგანი ქართველი იყო, მართმადიდებელი ქრისტიანები.

შემაჯამებელ ცნობებს ხელს აწერს ქარჩოხის ნაცვალი იასე საბიაშვილი (გადახაზულია გიგო კარელიძე) და აღმორჩეული კაცნი გაბრიელ და გიგოლა ბალხამიშვილი. რადგანაც ამათ წერა არ იცოდნენ, ამათი თხოვნით და ხელის ჩამორთმევით ხელს აწერს ისაკ დურგლიოვი (დურგლიშვილი) (სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 252, ფურ. 93-106).

ჭორჭოხი უძველესი ქართული სოფელია, რომელიც მოხსენიებულია სამთავნელის სარგოს X საუკუნის ნუსხასა და XV საუკუნის დრამისა და შესავლის გარიგების წიგნში (ჯავახიშვილი, 1974: 10). ქსნის საერისთავოს 1774 წლის აღწერის მიხედვით, ჭორჭოხში ცხოვრობდა 15 კომლი (27 მამრობითი სქესის მოსახლით), 6-6 კომლი ბალხამიშვილები და ქენქაძეები იყვნენ, 2 კომლი ქაწაშვილი და 1 კომლი წიპტაური (ჯავახიშვილი, 1967: 189; თაყაიშვილი, 2022: 690). 1783 წლის აღწერაში კომლების რაოდენობა 19-მდეა გაზრდილი. მამიშვილობა გაუგვარდათ ქენქაძე საბიას შვილებს და საბიაშვილებად დაეწერნენ, წიპტაურების განაყარი შტოა ფოციტაშვილები, ბალხამიშვილების - შერმაზანაშვილები. სოფლის მცხოვრებთა შორის ერთი ახალდამკვიდრებული გვარია - ბუთხუზი (ჯავახიშვილი, 1967: 208-209; თაყაიშვილი, 2022: 650). იოანე ბატონიშვილის 1803 წლის საუფლისწულო აღწერაში ცალ-ცალკეა ჭორჭოხი და ბალკანთ-კარი (ბალხამიანთკარი), ჭორჭოხში 7 კომლია, 40 მამაკაცი და 29 ქალი (69 სული), 7 კომლია ბალხამიანთკარშიც, 23 მამაკაცი და 14 ქალი (37 სული) (Акты, 1868: 82). 1804 წლის აღწერის მონაცემებით, კომლების რაოდენობა 30-ია, ბალხამიშვილები 12 კომლი, საბიაშვილები - 7 კომლი, ქაწაშვილები და ბუთხუზები - 3-3 კომლი, ფოცხვერაშვილები (ბალხამიშვილბის განაყარი შტო) – 2 კომლი, ფოციტაშვილები - 2 კომლი, შერმაზანიშვილები (წყაროში ზაზანაშვილი) - 1 კომლი, სულ 120 მამრობითი და 73 მდედრობითი სქესის (193 სული) (გსიემ, 1956: 63-

67). 1860 წლის აღწერით, ბალხამიშვილები 11 კომლი იყო, 45 მამაკაცი და 35 ქალი, მათი ბიძაშვილი ფოცხვერაშვილები - 2 კომლი, 3 მამაკაცი, ქალი მითითებული არაა, საბიაშვილები - 7 კომლი, 24 მამაკაცი და 19 ქალი, ქენქაძეები - 1 კომლი, 2 მამაკაცი, 1 ქალი, ქაწაშვილები - 4 კომლი, 25 მამაკაცი, 10 ქალი, პავლიაშვილები - 1 კომლი, 5 მამაკაცი, 3 ქალი, ბუთხუზები - 1 კომლი, 5 მამაკაცი, 5 ქალი, ფოციტაშვილები - 1 კომლი, 1 მამაკაცი, 1 ქალი, გოლოშვილები - 1 კომლი, 8 მამაკაცი, 10 ქალი.. ქენქაძეები, როგორც მითითებული იყო, 1850 წელს გადმოსახლდნენ ქენქაანთკარიდან, ისევე როგორც გაცილებით ადრე მათი განაყარი საბიაშვილები, პავლიაშვილები სოფელ პავლიანთკარიდან არიან მოსულები, გოლოშვილები - ოხირის ხეობიდან, მათ გარკვეული შუალედური რგოლი გაიარეს, ჯერ სამხრეთით ჭორჭოხში დასახლდნენ, შემდეგ დუშეთის მაზრის სოფელ დელკანში. ქაწაშვილების ორი ოჯახი გორის მაზრის აღაიანში გადასახლდნენ. ხშირი მიგრაციის მიუხედავად, ჭორჭოხი რჩებოდა ქარჩოხის ხეობის ყველაზე დიდ სოფლად, სადაც რამდენიმე სხვადასხვა გვარი ცხოვრობდა. 2008 წლის აგვისტოს ომამდე სოფელში 26 კომლი იყო, ბალხამიშვილები - 10 კომლი, საბიაშვილები - 7 კომლი, გოჭაშვილები (ადრინდელი ბუთხუზები) – 5 კომლი, პავლიაშვილები - 3 კომლი, ბალაშვილები - 1 კომლი. აგვისტოს ომის შემდეგ მოსახლეობის დიდი ნაწილი წეროვნისა და ფრეზეთის დევნილთა დასახლებაში ცხოვრობს.

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 16 მარტს.

*სოფელ ხოზოეთში* თავად დავით ლუარსაბის ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (რუსული ტექსტი):

*კომლი 1.* გიგო სეხნიას ძე ოგბიძე (ოგბაძე) - 25 წლის, გაშვებული იყო,

ამისი ძმები: 1. შალვა - 20 წლის,

2. გლახა - 13 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

კომლი - 1. მამრნი - 3. მდედრნი - 1.

დამოწმებულია თავად დავით ლუარსაბის ძე ერისთავის მიერ.

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 18 იანვარს.

*სოფელ ხოზოეთში* თავად ელიზბარ პავლეს ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (რუსული ტექსტი):

*კომლი 1 (2).* ნინიკა შიოს ძე გამხიტაშვილი - 55 წლის,

ამისი შვილები: 1. სოლომონ - 20 წლის, გაშვებული იყო,

2. აბრამ - 15 წლის, ახალშობილი,

3. ლუა - 18 წლის,

4. გაბრიელ - 8 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 4.

*კომლი 2 (3).* გიგოლა შიოს ძე გამხიტაშვილი - 40 წლის,

ამისი შვილი პეტრე - 5 წლის, ახალშობილი.

ამისი ძმები: 1. ანდრია - 20 წლის, გაშვებული იყო,

2. გიორგი - 25 წლის.

შვილი გიორგისი მახარე - 4 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 5.

*კომლი 3 (4).* სოსია გლახას ძე გამხიტაშვილი - 70 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 4.

*კომლი 4 (5).* ივანე გოგიას ძე გამხიტაშვილი - 20 წლის, გაშვებული იყო,

ამისი ძმები: 1. ზაქარა - 15 წლის, ახალშობილი,

2. მოსე - 10 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.

*კომლი 5 (6).* აბრამ რევაზის ძე გამხიტაშვილი - 25 წლის, გაშვებული იყო,

ამისი შვილი იაკობ - 1 ½ წლის, ახალშობილი.

ამისი ძმები: დავით - 20 წლის,

2. შიო - 16 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

*კომლი 6 (7).* მალხაზ გარსევანის ძე გამხიტაშვილი - 10 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

*კომლი 7 (8).* აბრამ იოსების ძე გავროზაშვილი (გაროზაშვილი) - 50 წლის,

ამისი შვილი თევდორე - 3 წლის,

ამისი ძმიშვილები: 1. სოსიკა ხახას ძე - 35 წლის, გაშვებული იყო,

სოსიკას შვილი ივანე - 5 წლის, ახალშობილი.

2. გარსევან ხახას ძე - 20 წლის, გაშვებული იყო.

რიცხვი დედაკაცთა - 4.

*კომლი 8 (9).* შიო ნავროზას ძე ნავროზაშვილი (გაროზაშვილი) - 40 წლის,

ამისი შვილი დათიკა - 8 წლის, ახალშობილი.

შიოს ძმა თევდორე - 30 წლის,

ძმიშვილი გიგო ნინიას ძე - 25 წლის, გაშვებული იყო.

რიცხვი დედაკაცთა - 5.

კომლი - 8. მამრნი - 28. მდედრნი - 26.

დადასტურებულია ელიზბარ პავლეს ძე ერისთავის მიერ.

*სოფელ ხოზოეთში* თავად ალექსანდრე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები:

*კომლი 1 (10).* ქიტესა სიხარულის ძე გავროზა შვილი (გაროზაშვილი) - 50 წლის, გაშვებული იყო,

ამისი შვილები: 1. აბრამ - 15 წლის, ახალშობილი,

2. სოლომონ - 8 წლის, ახალშობილი,

3. სიხარული - 5 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

*კომლი 2 (11).* სოსია გოგიას ძე გავროზა შვილი (გაროზაშვილი)- 45 წლის,

ამისი შვილი ანდრია - 3 წლის, ახალშობილი.

ძმები სოსიასი: 1. სიხარული - 30 წლის, გაშვებული იყო,

2. გიორგი - 15 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

*კომლი 3 (12).* ზურაბ გიორგის ძე გავროზა შვილი (გაროზაშვილი) - 80 წლის,

ამისი შვილი ზაქარა - 16 წლის, ახალშობილი.

ბიძაშვილები ზურაბისა: 1. გიგოლა - 20 წლის,

2. ნინიკა - 46 წლის.

ნინიკას შვილები: 1. თევდორე - 10 წლის, ახალშობილი,

2. გოგია - 5 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.

კომლი - 3. მამრნი - 14. მდედრნი - 4.

დაზუსტებულია ნაცვალის სოსიკა კარელიძის და აღმორჩეული პირების გიორგი გამხიტაშვილისა და ქიტესა გაროზაშვილის მიერ, რადგან ამათ წერა არ იცოდნენ, ამათი თხოვნით ხელს აწერს ისაკ დურგლი შვილი (ხელმოწერილია).

*სოფელ ხოზოეთში* თავად რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (რუსული ტექსტი):

*კომლი 1 (13).* ნინიკა ზურაბის ძე გამხიტაშვილი - 30 წლის,

ამისი შვილები: 1. გლახა - 7 წლის, ახალშობილი,

2. სოსიკა - 2 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

კომლი - 1. მამრნი - 3. მდედრნი - 1.

ცნობები დაზუსტებულია თავად რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავის წარმომადგენლის გიორგი დვანაძის მიერ (გიორგი დვანაძე იყო ქართველი მსახიობი, პოეტი, ქსნის ერისთავებთან დაახლოებული პირი, გიორგი ერისთავის თეატრალური დასის ერთ-ერთი პირველი წევრი. მისი ლექსები იბეჭდებოდა „ცისკარში“, წერდა პიესებს).

სულ სოფელ ხოზოეთში ცხოვრობს 13 კომლი, 48 მამრობითი სქესის და 32 მდედრობითი (80 სული) (სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 252, ფურ. 461-468).

უძველესი ქართული სოფელია ხოზოეთიც, სამთავნელის სარგოს X საუკუნის ნუსხაში მოიხენიება ყაზოთის, ხოლო XV საუკუნის დრამისა და შესავლის გარიგების წიგნში ხოხოთის სახელწოდებით (ჯავახიშვილი, 1974: 10). XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე გერმანელი მოგზაური გიულდენშდედტი მას „ხოზოეთის" სახელწოდებით იცნობს (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, 1962: 275; 1964: 63). აღსანიშნავია, რომ ჭორჭოხში მოსახლე ბალხამიშვილები და ხოზოეთში მცხოვრები გამხიტაშვილები ერთმანეთს სახლიკაცებად ანუ ბიძაშვილებად თვლიდნენ, რაც თავის მხრივ, ქარჩოხის ხევის ძველი სოფლების ერთიანობაზე მიგვანიშნებს. 1804 წლის აღწერით, ხოზოეთში 9 კომლი ცხოვრობდა, 3-3 კომლი გაროზაშვილები და გამხიტაშვილები, 2 კომლი - ოგბაძეები და 1 კომლი ქენქაძეები (გსიემ, 1956: 77-78). 1860 წელს გამხიტაშვილები 7 კომლია, 22 მამაკაცი და 18 ქალი, გაროზაშვილები - 5 კომლი (გაროზაშვილები იყვნენ წყაროში მითითებული ნავროზაშვილებიც, რაც 1873 წლის აღწერიდანაც ჩანს (სეასცა, ფ. 254 ან. 2, საქმე 265. ფურ. 41-52), 23 მამაკაცი და 13 ქალი, ოგბაძეები - 1 კომლი, 3 მამაკაცი და 1 ქალი.

1979 წლის საკავშირო აღწერის მიხედვით ხოზოეთში (წყაროში მითითებულია ხოზუეთი) 33 მცხოვრები იყო, 15 მამაკაცი და 18 ქალი, 1089 წლის მონაცემებით კი უკვე ნასოფლარია (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020).

XX საუკუნის შუა წლებში ხოზოეთში გამხიტაშვილებთან, გაროზაშვილებთან და ობგაძეებთან ერთად თითო კომლი იყვნენ ბალაშვილები, პავლიაშვილები და წიპტაურები. სოფლის ბოლო მოსახლენი გაროზაშვილები და გამხიტაშვილები იყვნენ, რომლებიც ქენქაანსა და მიდელაანში ჩამოსახლდნენ.

**დასკვნები:**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვემო ქარჩოხის ხეობის სოფლების შესახებ ცნობებს X საუკუნის სამთავნელის სარგოს ნუსხაში ვხვდებით, უფრო ვრცელ ცნობებს დემოგრაფიული და ეკონომიკური ყოფის შესახებ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ვეცნობით. იმ დროისთვის ქვემო ქარჩოხის ხეობაში 7 სოფელი იყო: ჭორჭოხი, ახალდაბა, მიდელაანთკარი, ქენქაანთკარი, გოლგოლეთი, ხოზოეთი, ძაბოეთი.

1860 წლის კამერალურ აღწერაში თითქმის ყველა ამ სოფლის შესახებ გვაქვს ცნობები, გარდა გოლგოლეთისა, რომელიც ქსნის მარჯვენა მხარეს სოფელ ქენქაანის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა. ამ დროს გოლგოლეთის ერთ-ერთ უბანში ბეჟუანთკარში ჯერ კიდევ ცხოვრობდა მოსახლეობა, მაგრამ ისინი ქენქაანთკარს არიან მითვლილი.

XIX საუკუნის 60-იან წლებში ქვემო ქარჩოხის ხეობაში, სოფლებიდან მიგრირებული კომლებისა და მოსახლეობის ჩათვლით უცხოვრია 85 კომლს (359 მამრობითი სქესის და 302 მდედრობითი, სულ: 661 მცხოვრები). აქედან ქართველები იყვნენ: 73 კომლი, 277 მამაკაცი და 233 ქალი (510 სული), ოსები: 12 კომლი, 82 მამაკაცი, 69 ქალი (151 სული). ყველა მათგამი მართლმადიდებელი ქრისტიანია.

XVIII საუკუნიდან მოყოლებული რამდენიმე სოფელმა შეიცვალა სახელწოდება, რაც გამოწვეული იყო იქ დასახლებული გვარების დომინაციით. ახალდაბა მოიხსენიება მეორე სახელით - ბალაანთკარი, ისევე, როგორც ჭორჭოხს უწოდებენდნენ ბალხამიანთკარსაც...

ქვემო ქარჩოხის ხეობის მოსახლეობა ეთნიკურად ქართველები იყვნენ. XVIII საუკუნიდან ძველ ქართულ სოფელ ძაბოეთში ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლებული ოსები დამკვიდრდნენ, რომლებმაც გაითავისეს ქართული ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები, მათი გვარებიც, ქართული გვარების მსგავსად, შვილზე მთავრდება.

XIX საუკუნის 60-იან წლებში ქვემო ქარჩოხის ხეობაში ცხოვრობდნენ, ქართველები: ბალაშვილები, მარტიაშვილები, ბალხამიშვილები, ფოცხვერაშვილები, თინიკაშვილები, მიდელაშვილები, კურდღელაშვილები, პავლიაშვილები, ქენქაძეები, პეტრეშვილები, ფოციტაშვილები, საბიაშვილები, ქაწაშვილები, ბუთხუზები, გაროზაშვილები, გამხიტაშვილები, ოგბაძეები. ოსები: ყარაშვილები, გოჭისშვილები, მუზაშვილები, კაჯილაშვილები, ბაგულაშვილებს, გოლოშვილები ქისიშვილები...

ქარჩოხის ხეობიდან ხშირი იყო როგორც შიდა მიგრაციის, ისე ქართლის ბარში გადასახლების ფაქტები, განსაკუთრებით ეს ჩანს ხეობაში მცხოვრები ოსების შემთხვევებში, ისინი ჯერ სამხრეთით მდებარე ხეობისავე სოფლებში სახლდებიან (ქისიშვილები - ქენქაანთკარში, გოლოშვილები - ჭორჭოხში), შემდეგ კი ბარისკენ გადაადგილდებიან.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ქვემო ქარჩოხის ხეობის სოფლების ნაწილი უკვე ნასოფლარია, დევნილი მოსახლეობა ფრეზეთისა და წეროვნის დასახლებებში ცხოვრობს.

**გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**


ახლოური, დ. (2007). *იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტი ქსნის ხეობაში,* თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი".

ახლოური, დ. (2019). *სოფელ ახლოურთკარის ისტორიიდან,* თბილისი, გამომცემლობა „საარი“

ახლოური, დ. (2021 ა). *ქარჩოხის ხეობის მოსახლეობა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში,* სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარებული დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი მეშვიდე საერთაშორისო კონფერენციისადმი მიძღვნილი შრომათა კრებული, №20, გორი.

ახლოური, დ. (2021 ბ). *ქსნის ხეობის ისტორია,* ტ., II, თბილისი, გამომცემლობა „საარი".

ახლოური, დ. (2022 ბ). გზები ქსნის ხეობაში, საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალი „ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია", №VIII.

ახლოური, დ. (2022 ბ). *ქსნის ხეობის ისტორია,* ტ., III, თბილისი, გამომცემლობა „საარი".

ბაგრატიონი, იოანე. (1986). *ქართლ-კახეთის აღწერა,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება".

ბატონიშვილი, ვახუშტი. (1973). *აღწერა სამეფოსა საქართველოსა,* ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.

გვრიტიშვილი, დ. (1955). *ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან,* თბილისი, გამომცემლობა „სახელგამი“.

*გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში.* (1962). გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა, ტ., I, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

*გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში.* (1964). გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა, ტ., II. თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ). (1956). *ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წ.,* №7486.

ზაქარაია, პ. (1981). *ლენინგორის რაიონი (ისტორიულ-არქიტექტურული მიმოხილვა),* თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ზაქარაია, პ. (2002). ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია, თბილისი.

თაყაიშვილი, ე. (2022). თხზულებანი, ტ. 12. თბილისი, გამომცემლობა არტანუჯი.

თოფჩიშვილი, რ. (2002). საქართველოს ისტორიული დემოგრაფიისათვის (შიდა ქართლის მთის მოსახლეობის მიგრაციის ეთნოისტორიული საკითხები), თბილისი.

კაკაბაძე, ს. (1929). *საისტორიო კრებული,* წიგნი IV, ტფილისი.

კვაჭანტირაძე, კ. (2017). *ქართული და ქართულ-ებრაული გვარ-სახელები,* თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი".

მაკალათია, ს. (1968). *ქსნის ხეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი,* თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო".

საქართველოს მოსახლეობის... (2003). *2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები (საქართველოს სოფლების მოსახლეობა),* ტ. II, თბილისი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2020). *მოსახლეობის სრულიად საკავშირო 1939, 1959, 1970, 1979 და 1989 წლების აღწერების შედეგები სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020.

სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 252. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 252.*

სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 254. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 254.*

სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 255. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 255.*

სეასცა, ფ. 254, ან. 3, საქმე 265. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 265.*

*ქართული სამართლის ძეგლები (ქსძ).* (1970). *საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტ., III,* ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი.

შიდა ქართლი. (2008). *ახალგორის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული მემკვიდრეობა, ტ. IV,* ცირა დადიანიძის რედაქციით, თბილისი.

ჯავახიშვილი, ივ. (1967). *საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი 1, დემოგრაფიული ძეგლები, აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრები,* თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება".

ჯავახიშვილი, ივ. (1974). *საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.), წიგნი II,* თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება".

Акты. (1868). *собранные Кавказской археографической комиссией: Том II.* Тифлис.

## REFERENCES

akhlouri, d. (2007). *iohan (anton) guldenstedti ksnis kheobashi [Johan (anton) Guldenstedt in the Ksani Valley].* Tbilisi: “Universali”.

akhlouri, d. (2019). *soael akhlourtkaris istoriidan [From the history of the village of Akhlourtkari]* Tbilisi: ,,Saari".

akhlouri, d. (2021 a). *karchokhis kheobis mosakhleoba meckhramete saukunis dasawkisshi [The population of Karchokhi valley at the beginning of the nineteenth century],* ssip goris sakhelmwifo saswavlo universitetshi chatarebuli davit agmasheneblisadmi midzgvnili saertashoriso konferenciisadmi midzgvnili shromata krebuli [A collection of works dedicated to the seventh international conference dedicated to davit Aghmashenebeli held at the LEPL Gori State Teaching University], №20, Gori.

akhlouri, d. (2021 b). *ksnis kheobis istoria [History of the Ksani valley].* II, Tbilisi: ,,Saari".

akhlouri d. (2022 a). *gzebi ksnis kheobashi [Roads in the Ksani valley].* the international scientific electronic journal "History, Archaeology, Ethnology", №VIII.

akhlouri, d. (2022 b). *ksnis kheobis istoria [History of the Ksani Valley].* III. Tbilisi: “Saari”.

bagrationi, ioane.(1986). *kartl-kaxetis agwera [The description of Kartl-kakheti],* teksti gamosacemad moamzades, gamokvleva da sadzieblebi daurtes tina enukidzem da guram bedoshvilma [The text was prepared for publication, research and references were added by Tina Enukidze and Guram Bedoshvili]. Tbilisi: "Metsniereba".

bat'onishvili vakhusht'i. (1973). *aghtsera sameposa sakartvelosa [Description of the kingdom of Georgia].* kartlis tskhovreba [Georgian Chronicles]. IV. teksti dadgenili kvela dziritadi

khelnaweris mixedvit s. kaukhchishvilis mier [The text is established according to all major manuscripts by S. Kaukhchishvili]. Tbilisi: Tetsniereba.

gvritishvili, d. (1955). *feodaluri saqartvelos socialuri urtiertobis istoriidan (qartlis satavadoebi) [from the history of social relations of feudal Georgia (Kartli Principalities)].* Tbilisi: „Sakhelgami".

*guldenstedtis mogzauroba sakartveloshi [Guldenstedt's trip to Georgia].* (1962). germanuli teksti kartuli targmaniturt gamosca da gamokvleva daurto gia gelashvilma [The German text was published with a Georgian translation and research was added by Gia Gelashvili]. I. Tbilisi.

*guldenstedtis mogzauroba sakartveloshi [Guldenstedt's trip to Georgia].* (1964). germanuli teksti kartuli targmaniturt gamosca da gamokvleva daurto gia gelashvilma [The german text was published with a georgian translation and research was added by Gia Gelashvili]. II. Tbilisi.

goris istoriul-etnograpiuli muzeumi (gsiem) [Gori historical-ethnographical Museum]. (1956). *kofili ksnis saeristavos mosakhleobis agwera 1804 w. [Population census of former Ksani saeristavo in 1804]. №7486.*

zakaraya p. (1981). *leningoris raioni (istoriul-arkiteqturuli mimokhilva) [Leningori region (historical-architectural review)].* Tbilisi: „Sabchota Sakartvelo".

zakaraya p. (2002). *kartul cikhesimagreta istoria [The history of Georgian fortresses].* Tbilisi.

takaishvili, e. (2022). *tkhzulebani, t. 12. [works, t. 12].* Tbilisi: Artanuji.

topchishvili, . (2002). sakartvelos istoriuli demograpiisatvis (shida kartlis mtis mosakhleobis migraciis etnoistoriuli sakitxebi) *[For historical demography of Georgia (ethno-historical issues of migration of Shida Kartli mountain population).* Tbilisi.

kakabadze, s. (1929). *saistorio krebuli [Historical collection],* IV, Tbilisi.

kvachantiradze, k. (2017). *kartuli da kartul ebrauli gvar-sakhelebi [Georgian andGgeorgian-hebrew surnames],* Tbilisi: "Meridian".

national statistical service of Georgia. (2020). *mosakhleobis sruliad sakavshiro 1939, 1959, 1970, 1979 da 1989 aghtserebis shedegebi samkhret osetis avtonomiur olkshi [the census results of the whole unity of population in 1939, 1959, 1970, 1979 and 1970 years, in south ossetia autonomous district].* sakartvelos statistikis erovnuli samsakhuri [National Statistical service of Georgia].

makalatia, s. (1968). *ksnis kheoba, istoriul-etnografiuli narkvevi [Ksani valley, Historical-ethnographic essay].* Tbilisi.

*sakartvelos mosakhleobis... [The population of Georgia...]* (2003). *2002 wlis pirveli erovnuli sakoveltao agweris dziritadi shedegebi (sakartvelos soflebis mosakhleoba) [The main*

*results of the first national general census of 2002 (Population of the villages of Georgia)], II,* Tbilisi.

seasca, f. 254, Ins. 2, Case 252. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 2, saqme 252 [National Archives of Georgia, Historikal Central Archive, fund 254, Ins. 2, case 252].*

seasca, f. 254, ins. 2, case 254. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 2, saqme 254 [National Archives of Georgia, Historikal Central Archive, fund 254, ins. 2, case 254].*

seasca, f. 254, ins. 2, case 255. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 2, saqme 255 [National Archives of Georgia, historikal central Archive, fund 254, ins. 2, case 255].*

seasca, f. 254, ins. 2, case 265. *National archives of Georgia, Historikal central Archive, fund 254, ins. 2, case 265.*

kartuli samartlis dzeglebi [monuments of georgian law]. (1970). *saeklesio sakanonmdeblo dzeglebi [Ecclesiastical legislative monuments] (XI-XIX), III,* tekstebi gamosca, shenishvnebi da sadzieblebi daurto prof. i. dolidzem [prof. I. Dolidze added notes and published texts]. Tbilisi.

shida kartli. (2008). *akhalgoris municipalitetis arqiteqturuli memkvidreoba [Architectural heritage of Akhalgori municipality], IV,* cira dadianidzis redakciit [edited by Tsira Dadianidze]. Tbilisi.

javakhishvili, Iv. (1967). *sakartvelos ekonomiuri istoriis dzeglebi [Monuments of economic history of georgia], 1, demograpiuli dzeglebi [Demographic Monuments] XVIII.* Tbilisi: Metsniereba

javakhishvili, Iv. (1974). *sakartvelos ekonomiuri istoriis dzeglebi [Monuments of economic history of Georgia], (XIII-XIX), II.* Tbilisi: Metsniereba.

Акты. (1868). *собранные Кавказской археографической комиссией: Том II. [Collected by the caucasian archaeographic Commission. Vol.II].* Тифлис.